N გ-24-03/1711
09/08/2024

1711-გ-24-03-2-202408091649

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს

საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს

შეტყობინება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2024 წლის 15 აგვისტოს, 15:00 საათზე, გაიმართება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია“) სხდომა (კომისიის სხდომის სამუშაო დრო - 21:00 საათამდე), სადაც განიხილება შპს „სიაკომის“ (ს/კ 402198643) და შპს „რეტნ ჯი“-ის (ს/კ 404582340) მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაძლო დარღვევის საკითხი (საფუძველი: სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს წერილი SSG 9 24 00172448; 02.08.2024).

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ როგორც დაინტერესებულ პირს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, უფლება გაქვთ კომისიას წარუდგინოთ მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები. დამატებით გაცნობებთ, რომ კომისიის სხდომები იმართება დისტანციურ რეჟიმში.

გთხოვთ, უზრუნველეყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა კომისიის სხდომასა და ადმინისტრაციულ წარმოებაში. დაინტერესებული მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია განიხილოს საქმე და მიიღოს გადაწყვეტილება.

ირაკლი ბუთბაია

დეპარტამენტის უფროსი
იურიდიული დეპარტამენტი